საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1294-02
05/06/2023

სსიპ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" საკუთრებაში არსებული ქონების - უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 3 (სამი) ერთეული ავტომობილის ელექტრონული აუქციონით გაყიდვასთან დაკავშირებით, აუქციონის გამოცხადების, ვადებისა და პირობების დადგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, 85-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-19 მუხლის და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' და ,,ი" ქვეპუნქტების, 48-ე მუხლის მეხუთე პრიმა პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის N7 სხდომის, 2020 წლის 6 მარტის N2 სხდომის და 2021 წლის 28 აპრილის N1 სხდომის ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების, აუდიტორული კომპანია შპს „რიალ აუდიტის" 2023 წლის 19 მაისის „სატრანსპორტო საშუალებების შეფასების შესახებ" N19/05/23 აუდიტორული დასკვნის, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 11 აგვისტოს MES 4 21 0000787347 და 2021 წლის 14 სექტემბრის MES 6 21 0000917038 თანხმობის წერილების, მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის, გიორგი მამუჩაშვილის 2023 წლის 30 მაისის N9568-35 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 3 (სამი) ერთეული ავტომობილის:

   ა) ფორდ ტრანზიტი 80 (სახ. ნომერი DD-857-QQ);
   ბ) გაზ 53-12-01 (სახ. ნომერი MVW-655);
   გ) ტოიოტა „4 რანერი" (სახ. ნომერი UNI-300),

   აუქციონის წესით გაყიდვასთან დაკავშირებით - 2023 წლის 9 ივნისს და ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე www.eauction.ge-ზე.

2. დადგინდეს აუქციონის შემდეგი პირობები:

ა) ავტომობილების თავდაპირველ ნასყიდობის თანხად განისაზღვროს:
ა.ა.) ფორდ ტრანზიტი 80 (სახ. ნომერი DD-857-QQ) – 1100 (ათას ასი) ლარი;
ა.ბ.) გაზ 53-12-01 (სახ. ნომერი MVW-655) – 2200 (ორი ათას ორასი) ლარი;
ა.გ.) ტოიოტა „4 რანერი“ (სახ. ნომერი UNI-300) – 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი;

ბ) აუქციონის მიმდინარეობის ვადად განისაზღვროს 14 კალენდარული დღე და დასრულდეს 2023 წლის 23 ივნისს;
გ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა დადგინდეს თავდაპირველი ნასყიდობის თანხის - 10 (ათი) პროცენტის ოდენობით:
გ.ა.) ფორდ ტრანზიტი 80 (სახ. ნომერი DD-857-QQ) – 1100 (ათას ასი) ლარის 10% - 110 (ას ათი) ლარი;
გ.ბ.) გაზ 53-12-01 (სახ. ნომერი MVW-655) – 2200 (ორი ათას ორასი) ლარის 10% - 220 (ორას ოცი) ლარი;
გ.გ.) ტოიოტა „4 რანერი“ (სახ. ნომერი UNI-300) – 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარის 10% - 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი;

დ) დადგინდეს ბიჯი - თავდაპირველი ნასყიდობის თანხის 10 (ათი) პროცენტის ოდენობით:
დ.ა.) ფორდ ტრანზიტი 80 (სახ. ნომერი DD-857-QQ) – 1100 (ათას ასი) ლარის 10% - 110 (ას ათი) ლარი;
დ.ბ.) გაზ 53-12-01 (სახ. ნომერი MVW-655) – 2200 (ორი ათას ორასი) ლარის 10% - 220 (ორას ოცი) ლარი;
დ.გ.) ტოიოტა „4 რანერი“ (სახ. ნომერი UNI-300) – 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარის 10% - 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი;

ე) აუქციონში გამარჯვებულთან გაფორმდეს ნასყიდობის ხელშეკრულება აუქციონზე გამარჯვებულის გამოვლენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;
ვ) მყიდველმა ნასყიდობის თანხის გადახდა უნდა უზრუნველყოს აუქციონის დასრულებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში - არაუგვიანეს 2023 წლის 3 ივლისისა;
ზ)საკუთრების უფლება მყიდველს წარმოეშობა ნასყიდობის თანხის სრულად გადახდის შემდეგ;
თ) მყიდველმა საკუთარი ფინანსური სახრებით უნდა უზრუნველყოს ავტომობილის გადაფორმება შესაბამის ორგანოებში;
ი) ბეს თანხა უნდა ჩაირიცხოს უნივერსიტეტის სადეპოზიტო ანგარიშზე:
მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 302007700;
დამატებით ინფორმაციაში მიეთითება: 7710, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ს/კ 204861970, ხელშეკრულების შესაბამისად.

კ) საბანკო გარანტია უნდა აიტვირთოს www.eauction.ge-ზე ან წარმოდგენილ იქნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის F კორპუსში, ოთახი F212 (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5);
ლ) აუქციონში გამარჯვებული სუბიექტის მიერ ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის, ნასყიდობის სრული საფასურის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის, აუქციონში მონაწილეობის წესის დარღვევისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, უნივერსიტეტი გადახდილ ბეს/უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიის თანხას უკან არ უბრუნებს აუქციონში გამარჯვებულ პირს;
მ) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ნასყიდობის თანხის გადახდის ვადას არანაკლებ 30 დღით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის მოქმედების ვადად დადგინდეს 2020 წლის 2 აგვისტო.
ნ) აუქციონის პირველ ეტაპზე არ ჩატარების შემთხვევაში, განმეორებით მოხდეს შემდეგ ეტაპზე ავტომობილების გატანა აუქციონზე იგივე მოთხოვნის და პირობების შესაბამისად;
ო) აუქციონის დასრულების შემდეგ ნასყიდობის თანხის გადახდა მოხდეს უნივერსიტეტის შემდეგ ანგარიშზე და მითითებით:

მიმღების დასახელება_ხაზინის ერთიანი ანგარიში - სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი_ 708997635
მიმღების ბანკი_სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი_TRESGE22
გადახდის დანიშნულება_შემოსულობა სსიპ/ააიპ-ის საკუთრებაში არსებული სხვა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, ხელშეკრულების ნომერი (მიეთითოს ნასყიდობის ხელშეკრულების ნომერი და თარიღი);

პ) აუქციონის დასრულების შემდეგ ბეს თანხის დაბრუნება აუქციონში მონაწილე იმ პირებისთვის, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ აუქციონში, მოხდება 10 (ათი) კალენდარულ დღეში.
ჟ) ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების საფასურის გადახდა განხორციელდეს, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 7 სექტემბრის №561 დადგენილების N2 დანართის მიხედვით (თითოეულ ავტომობილზე - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ჯამში - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი);
რ) თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ აუქციონში რეგისტრირებულმა პირებმა რომლებმაც გადაიხადეს ბე ან/და წარმოადგინეს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია - არ მიიღეს მონაწილეობა სააუქციონო
ვაჭრობაში, წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ირიცხება უნივერსიტეტის ანგარიშზე.

3. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება;

4. უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურს დაევალოს ინფორმაციის www.eauction.ge-ზე ატვირთვა, საკონტაქტო პირად განისაზღვროს - სამეურნეო-ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი-დიმიტრი გორგაძე, ტელ: 577 55 33 21.
5. აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს დაევალოს გადაიხადოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების საფასური ამ ბრძანების მეორე პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის მიხედვით;
6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მატერიალური რესურსების სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, შესყიდვების სამსახურს, უნივერსიტეტის შიდა აუდიტს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი